

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



განმეორებითი კენჭისყრის დღის დაკვირვების შედეგები 21:00 საათისთვის

დასრულდა უბნებზე ხმის მიცემის პროცესი. მიმდინარეობს ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესი. ამ დროისათვის მარნეულის #48-ე, ზუგდიდის #38-ე, #108-ე და #79-ე უბნების გარე პერიმეტრზე ადგილი აქვს ამომრჩეველთა დიდი რაოდენობით მობილიზებას, რომელიც მშვიდობიან ხასიათს ატარებს. ადგილზე წარმოდგენილია პოლიცია. მოვუწოდებთ პოლიტიკურ სუბიექტებსა და მათ მხარდამჭერებს დაელოდონ ხმების დათვლას და შედეგების შეჯამებას მშვიდ ვითარებაში.

ამ ეტაპზე საიას დამკვირვებელთა მიერ დაფიქსირდა:

სიტყვიერი დაპირისპირების ფაქტი დამკვირვებლებს შორის

ბუგდიდის #108 უბანზე ადგილი ჰქონდა სიტყვიერ დაპირისპირებას სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლებს შორის. სადამკვირვებლო ორგანიზაციის „თავისუფლებისა და თანასწორობის ცენტრის“ დამკვირვებელმა მითითება მისცა საუბნო კომისიის თავმჯდომარეს შეეწყვიტა ხმის მიცემის პროცესი 19:57 წთ-ზე. ამ მითითებას გამოეხმაურა სადამკვირვებლო ორგანიზაციის „ყველა ერთად“ წარმომადგენელი. მან შენიშვნა მისცა „თავისუფლებისა და თანასწორობის ცენტრის“ დამკვირვებელს, თუ რატომ ერეოდა ის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებაში, რასაც სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა.

ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა

ბუგდიდის #38 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველს გაუკეთეს მარკირება, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამომრჩეველი იყო დევნილი და მას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ერთად არ ჰქონდა თან დევნილის მოწმობა, რაც საჭიროა დევნილი პირისათვის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. მოქალაქეს განუმარტეს, რომ მას შეეძლო ეთხოვა ახლობლებისთვის მიენოდებინათ დევნილის მოწმობა. მოქალაქე წავიდა და მოიტანა უბანზე დევნილის მოწმობა. თუმცა ვინაიდან მას მარკირება გაკეთებული ჰქონდა, კომისიამ აღარ მიაღებინა მოქალაქეს კენჭისყრაში მონაწილეობა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საიას წარმომადგენელმა შენიშვნა დააფიქსირა ჩანაწერთა წიგნში.

არაუფლებამოსილ პირთა ყოფნა უბნის გარე პერიმეტრში

დღის განმავლობაში უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებიან პირები, რომლებიც აწარმოებენ მოსული ამომრჩევლის აღრიცხვას. განვმარტავთ, რომ აღნიშნული წარმოადგენს ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე ირიბ კონტროლს, რაც პრობლემაა. აღნიშნული ფაქტები მიუთითებს, რომ დღის წესრიგში კვლავ დგას ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობა, რაც საჭიროებს საარჩევნო კოდექსში უბნის მიმდებარე ტერიტორიის ცნების განსაზღვრას. (ბუგდიდის #79-ე და #108 უბნები).

კენჭისყრის შენობის მონყოლა

დაახლოებით საღამო 18:00 საათზე ელექტროენერგიის მიწოდება 10-15 წუთის განმავლობაში შეწყვეტილი იყო მარნეულის #48 საარჩევნო უბანზე, რასაც არ მოუხდენია

გავლენა საარჩევნო პროცედურების წარმართვაზე.

- **ამ დროისთვის ზემოთ აღნიშნულ დარღვევებზე საიას დამკვირვებლებმა 2 საჩივარი წარადგინეს (ერთსადაიმავე დარღვევაზე უბანზე და ოლქში) და 3 შენიშვნა დააფიქსირეს ჩანაწერთა წიგნში მარნეულის საარჩევნო უბანზე.**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების განმეორებით კენჭისყრას ორი საარჩევნო ოლქის ოთხ საარჩევნო უბანზე აკვირდება. ორგანიზაციის წარმომადგენლები აკვირდებიან მაჟორიტარულ არჩევნებს, რომელიც გაიმართება №36 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №36.22.48 საარჩევნო უბანზე (მარნეული), ასევე №66 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №66.67.38, №66.67.79 და №66.67.108 საარჩევნო უბნებზე (ზუგდიდი), სადაც გაიმართება როგორც პარლამენტის მაჟორიტარული, ისე გამგებლის არჩევნები.

საია დაფუძნების დღიდან (1994 წელი) აქტიურად აკვირდება არჩევნებს და ცდილობს ხელი შეუწყოს არჩევნების მშვიდ, სამართლიან გარემოში ჩატარებას, საარჩევნო პროცესების დროს საქართველოს კანონმდებლობის განუხრელ დაცვას.

საიას საპარლამენტო არჩევნების განმეორებითი კენჭისყრის დღის მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა დიდი ბრიტანეთის სამეფოს საელჩოს, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ დაფინანსებით. განცხადებაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ და მისი შინაარსი შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.